პროლეტარიელო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგმოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 290 (10684) | შაბათი, 15 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენს დიად საშშოებლოში

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები

დიდია საბჭოთა ახალგაზრდების მისწრაფება სწავლისადმი. საამისოდ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი. მარტო გასულ სასწავლო წელს ჩვენს რესპუბლიკაში მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრა 4.900-ზე მეტმა კაცმა.

საბჭოთა სახელმწიფო არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ყველა შესაძლებლობა მისცეს ცოდნის დასაუფლებლად. იმ მშრომელთა საერთო კულტურული დონის ამაღლების მიზნით, რომლებსაც საშუალო განათლება არა აქვთ, პარტიის XX ყრილობამ დაადგინა მეექვსე ხუთწლედში გაგრძელდეს შემდგომი განვითარება დაუსწრებელი და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელისა, სადაც მშრომელები ისწავლიან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები წარმოადგენენ არა მარტო იმის მნიშვნელოვან საშუალებას, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობენ, საერთო კულტურული დონე აიმაღლონ. ეს სკოლები გვაძლევენ აგრეთვე ძვირფას შევსებას უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ სტუდენტები, რომლებსაც არასოდეს არ უმუშავნიათ მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში. ამის გამო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტთა ერთ ნაწილს უძნელდება დამოუკიდებელი მუშაობა.

სულ სხვა საქმეა, როცა უმაღლეს სასწავლებელში მოდის ახალგაზრდა მუშა ან კოლმეურნე, რომელმაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ან რომელიც განსაზღვრულ პერიოდში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. წარმოებაში მუშაობისას ასეთ ახალგაზრდას მიღებული აქვს აუცილებელი აღზრდა, წრთობა, უკეთ ესმის ცხოვრება, დიდად აფასებს შრომას, სწორად განსაზღვრავს თავის მოწოდებას, თამამად ირჩევს პროფესიას. უმაღლეს სასწავლებელში იგი შეუპოვრად სწავლობს, იმაღლებს ცოდნის დონეს, და მას ამთავრებს, როგორც კარგად მომზადებული და აღზრდილი სპეციალისტი.

შორს არ არის ის დრო, როცა უმაღლესი სასწავლებლები შევსებას მიიღებენ ქარხნებიდან, მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში უკვე მუშაობს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, 20.700-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა და 7.300-ზე მეტი კოლმეურნე იღებს საშუალო განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

მუშა და კოლმეურნე, რომელმაც საშუალო განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღო, აგრეთვე ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარმოებაში მუშაობდნენ, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ დიდი უპირატესობით იმათთან შედარებით, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში პირდაპირ სასკოლო მერხიდან შედიან. საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს ყოველმხრივ წავახალისოთ ის ახალგაზრდები, რომლებმაც გაიარეს ცხოვრების გარკვეული სკოლა, შრომითი წრთობა მიიღეს მუშათა ან კოლმეურნეთა კოლექტივში.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლების სანიმუშოდ მოწყობა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო, სადაც დიდ ზრუნვას იჩენენ მუშათა ზოგადი განათლების დონის ამაღლებისათვის. ასეთი საწარმოებია ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ჭიათურის მარგანტრესტის ლენინის სახელობის მაღარო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, მაუდ-კამოლის კომბინატი და სხვ.

ცხოვრებამ სავსებით გაამართლა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების სისტემა. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, ჭიათურის და სხვა სამრეწველო ცენტრებში ახლა უკვე მუშაობს მრავალი ინჟინერი და ტექნიკოსი იმათი რიცხვიდან, ვინც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდა საშუალო სკოლებში, შემდეგ კი უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში უდავო წარმატებების მიუხედავად ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს გამოიხატება, კერძოდ, სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის განთესვით. მაგალითად, გასული სასწავლო წლის პირველ ნახევარში აჭარის ასსრ მუშა ახალგაზრდობის სკოლების 1.270 მოსწავლიდან განითესა 138 მოსწავლე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეთა ყველაზე დიდი განთესვა იქ არის, სადაც მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს არ ექცევა სათანადო ყურადღება, სადაც არ იქმნება ნორმალური პირობები ამ სკოლების მუშაობისათვის. წალკის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვა რაიონებში არ სრულდება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა, ხოლო ეს გეგმა გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკაშიც არ შესრულებულა. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება სკოლებისადმი ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების არასაკმაო ყურადღებით. გარდა ამისა, მთელ რიგ საწარმოებში მუშა ახალგაზრდობის სკოლებს არა აქვთ ნორმალური მეცადინეობისათვის საჭირო შენობები.

კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიური, სისტემატური ზრუნვა გამოიჩინონ იმისათვის, რომ ყველა ახალგაზრდამ მიიღოს საშუალო განათლება. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად კომკავშირული ორგანიზაციები განზე უდგანან ამ დიდ ამოცანას. მთელი რიგი ქარხნების კომკავშირული კომიტეტები არ ეხმარებიან მუშა ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს.

მუშა ახალგაზრდობის სკოლებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სახალხო განათლების ორგანოები. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დღემდე არ უზრუნია იმისათვის, რომ შექმნას ამ სკოლებისათვის სახელმძღვანელოები და პროგრამები, რომლებიც შეეფერება მოსწავლეთა ასაკსა და გამოცდილებას. ამ სკოლების მოსწავლეები დღემდე მეცადინეობენ მასობრივი სკოლების სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების სისტემა დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყველა პირობა შეუქმნან მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ნაყოფიერი მუშაობისათვის, ყოველდღიურად დაინტერესდნენ ამ სკოლების ცხოვრებითა და საქმიანობით, ჩაბან ახალგაზრდობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლებაში.



ლენინგრადის სვერდლოვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში აწყობენ უნივერსალურ ჰორიზონტალურ-შიგახახარატო ჩარხს, რომელიც განკუთვნილია ინდოეთისათვის. ამ ჩარხით შეიძლება დიდი დეტალების შიგამოხარატება წონის მიუხედავად.

ჩარხის კონსტრუირების დროს გათვალისწინებული იყო ტროპიკული ჰავის თავისებურებანი. მაღალი ტემპერატურისა და ჰაერის დიდი ტენიანობის პირობებში ლითონზე კოროზიის გაჩენის თავიდან ასაცილებლად ჩარხის ყველაზე პასუხსაგები კვანძები და დეტალები უფანგავი ფოლადისაგან არის დამზადებული. სამაგრი მასალები და მართვის სხვადასხვა ბერკეტები თითბრისაა და იფარება კოროზიის საწინააღმდეგო სპეციალური საშუალებებით ან ნიკელით.

ქარხნის კონსტრუქტორებმა ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ შეეცვალათ იზოლაცია ელექტრომოწყობილობაში. ქაღალდი, რეზინი, ტყავი და ბამბეულის მასალები, რასაც საიზოლაციოდ იყენებენ, ინდოეთის პირობებში გამოუსადეგარია და ამიტომ შეცვლილია შუშატექსტოლიტით.

სურათზე: საამქროს ოსტატი ვ. ს. მალიშევი (მარჯვნივ) ამოწმებს დეტალებს, რომლებიც დამონტაჟებულია ზეინკალ გ. ი. დუშენკოვის მიერ.

ფოტო ვ. კაპუსტინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★ ★

დამთავრდა ავეჯის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

12 დეკემბერს დამთავრდა ავეჯის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

სსრ კავშირის ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის ამხ. ვარაქსინის და სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ვიცე პრეზიდენტის ამხ. ვლასოვის მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ გომელის ხისდამმუშავებელი კომბინატის მთავარი ინჟინერი ამხ. სტრიჟევსკი, სტალინგრადის ხე-ტყის სახერხი და ხისდამმუშავებელი კომბინატის საკორპუსო ავეჯის საამქროს უფროსი ამხ. ბლაგოვეშჩენსკი, ტომსკის ოლქის ავეჯის ფაბრიკა „კრასნოდერევეცის“ დირექტორი ამხ. შარატსკი, ჩელიაბინსკის ავეჯისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საოლქო სამმართველოს უფროსი ამხ. გოლდბერგი, ივანოვოს ავეჯის კომბინატის მთავარი ინჟინერი ამხ. ლეობოვიჩი, ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვორობიოვი, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ტრიფონოვი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ა. ი. მიკოიანმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ავეჯის საწარმოების ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი. (საკდესი).

★

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. პ. კ. შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ დედამიწის ბრუნვის არათანაბრობის შესასწავლად. ამ მიზნით ახალ ასტროგრაფზე, რომელსაც სპეციალური აპარატურა აქვს, ასტრონომები იღებენ მთვარისა და მის გარშემო მდებარე ვარსკვლავების ფოტოსურათებს. ამ ფოტოსურათების გაზომვა მეტად ზუსტი ხელსაწყოს მეშვეობით შესაძლებელს ხდის გაირკვეს მთვარის მდებარეობა ვარსკვლავების მიმართ. მთვარის მდგომარეობაზე დაკვირვების დროს მიღებული მონაცემების შედარება თეორიულად გაანგარიშებულ მდგომარეობასთან საშუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნას დედამიწის ბრუნვის უთანაბრობანი. **სურათზე:** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ე. ი. ბუგოსლავსკაია და ინსტიტუტის თანამშრომელი ბ. ი. კოზარენკო ათვალიერებენ მთვარის ფოტოსურათებს.

ფოტო ლ. პორტერისა და ს. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„ᲚᲝᲕᲘᲡ“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 დეკემბერი. (საკდესი). ავტობუსის ქარხანამ დაიწყო „ლოვის“ მარკის 34-ადგილიანი კომფორტაბელური ავტობუსების სერიული გამოშვება. პირველი გამოშვებული მანქანები გამოცდას გადიან.

ასობით ასეთი მანქანა 1957 წლის ზაფხულში მომსახურებას გაუწევს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს მოსკოვში.

„ᲝᲑᲛᲐ“ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲜᲢᲐᲠᲥᲢᲘᲓᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ

დიზელ-ელექტრომავალი „ობი“ მრავალი დღის ცურვის შემდეგ, რომლის დროს მან გაიარა 11 ათას მილზე მეტი, 12 დეკემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთპოლარული ექსპედიციის სამ ხომალდთაგან პირველი მივიდა ანტარქტიკული დაბა „მირნის“ რაიონში. უკანასკნელ 300 მილს გემი მიდიოდა ყინულთა ზოლში. თუმცა იგი შარშანდელზე ფართო აღმოჩნდა, ხომალდმა ადვილად გადალახა ეს ზოლი დღეღამის განმავლობაში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ყინულების საჰაერო დაზვერვათა სერიამ, რაც „მირნის“ მფრინავებმა განახორციელეს.

„მირნიდან“ „ობისაკენ“ გაფრინდა ორი ვერტმფრინავი. ვერტმფრინავებში იყვნენ ექსპედიციის ხელმძღვანელები, მეცნიერები. როდესაც მანქანები, რომლებსაც მართავდნენ მფრინავები ინოზემცევი და შონინი, დაეშვნენ ყინულზე გემის გვერდით, მათ გარშემოეხვია დიდი საოკეანო მოგზაურობის ათობით მონაწილე. მოზამთრეები, რომლებსაც ერთი წელიწადია არ უნახავთ მშობლიური მიწა, სიხარულით შეხვდნენ ძვირფას საბჭოთა ადამიანებს.

საექსპედიციო გემი სადღესასწაულოდ მორთულია ფერადი ალმებით. გემბანზე გადაჭიმულია ალისფერი ქსოვილი წარწერით „მირნის“ მამაც პოლარელებს სამშობლოს გულითადი სალამი!“ „ობის“ გემბანზეა საუცხოოდ აღჭურვილი სამეცნიერო ლაბორატორიები, მძლავრი საწევრები, რომლებიც მალე წავლენ შორეულ ლაშქრობაში კონტინენტის სიღრმეში, რათა მოაწყონ სადგურები „სოვეტსკაია“ და „ვოსტოკი“.

ანტარქტიდაში კვლავ ჩავიდნენ „მირნის“ სახელოვანი მშენებლები — ინჟინრები ვ. სომოვი, მ. აგეევი, ინჟინერი-მეტრანსპორტე ვ. კორსაკი, საზღვაო ექსპედიციის მონაწილე მეცნიერთა დიდი ჯგუფი.

ერთი ვერტმფრინავით კაპიტანი მანი, საზღვაო ექსპედიციის უფროსი მაქსიმოვი და სხვები წავიდნენ უფრო მოხერხებული ადგილის საძებნელად, საიდანაც შესაძლებელი იქნება საექსპედიციო მოწყობილობის გადმოტვირთვა. ხანგრძლივი დაზვერვის შემდეგ გადაწყდა „ობი“ გადავიდეს სხვა ადგილას, უფრო ახლოს „პრავდის“ ნაპირთან. გემმა დატოვა თავისი პირველი სადგომი და ამჟამად არის 15 კილომეტრზე „მირნის“ ჩრდილოეთით. გადმოტვირთვა განზრახულია ყინულზე.

„ობმა“ მოზამთრეებს ჩამოუტანა რამდენიმე ათასი წერილი, გაზეთები, ჟურნალები, ამანათები, ორმოცი ახალი ფილმი.

Ი. ᲓᲔᲜᲘᲡᲝᲕᲘ,
საკდესის სპეც. კორ.

ანტარქტიდა,
„მირნი“, 13 დეკემბერი.

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲤᲠᲣᲜᲖᲔ, 12 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დამთავრა ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. განიხილეს ორი საკითხი: რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ყირგიზეთში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. რ. რაზაკოვმა. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. ჩურკინმა. განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი.

ᲠᲐᲓᲘᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ

შორს არ არის ის დრო, როცა არა მარტო მოისმენს მოსკოვს, არამედ დაინახავს მას მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც დედაქალაქიდან ხუთი ათას კილომეტრზე ცხოვრობენ. ეს ნიშნავს, რომ ირკუტსკსა და ალმა-ატას, ფრუნზესა და ტაშკენტს, ერევანსა და აშხაბადს, რომ არაფერი ვთქვათ იმ დიდ ქალაქებზე, რომლებიც უფრო ახლოს მდებარეობენ დედაქალაქთან, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მოსკოვის სატელევიზიო გადაცემები. ასეთ შესაძლებლობას მისცემს მათ რადიორელეს ხაზები.

რადიორელეს ხაზი წარმოადგენს იმ კოშკების ჯაჭვს, რომლებიც ერთმანეთთან განლაგებული არიან ისე, რომ დაცული იყოს ოპტიკური ხილვადობა. ინტერვალები მათ შორის 50-60 კილომეტრს აღწევს — ადგილის რელიეფის მიხედვით. ამ კოშკებზე აღმართულია ანტენები თანამედროვე მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურებისა, რომლებიც იღებენ და გზავნიან შემდგომ, თითქოს ესტაფეტითო, ზუსტად მიმართულ ულტრამოკლე ტალღების კონს. ასეთ ჯაჭვში ორი კიდის სადგურია. ეგრეთწოდებული ბოლო სადგურები ემსახურებიან აბონენტებს, ხოლო შუალედური სადგურები იღებენ სიგნალებს და გადასცემენ (აწარმოებენ რეტრანსლაციას) მათ შემდგომ.

ულტრამოკლე ტალღები და რადიორელეს ხაზები შესაძლებლობას გვაძლევენ ამავე დროს უფრო დიდი რაოდენობით გადავცეთ ტელეფონით ლაპარაკი და დეპეშები, აგრეთვე ვაწარმოოთ სატელევიზიო პროგრამის ტრანსლაცია. მაგრამ ულტრამოკლე ტალღებით კარგად მუშაობა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მიმღებ-გადამცემი სადგურები განლაგებულია ოპტიკური ხილვადობის ფარგლებში.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლეანი გეგმის შესახებ აღნიშნულია: ამუშავდეს ხუთწლედის მანძილზე სულ ცოტა 10 ათასი კილომეტრი ახალი რადიორელეს ხაზი. ახლა კავშირგაბმულობის მუშაკები — მეცნიერები, მშენებლები ახორციელებენ პარტიის ამ დავალებას. და პირველი ხაზი, რომელიც ამუშავდა ახალ ხუთწლედში, ეს არის მოსკოვი-რიაზანი. იწყება იგი მაღალი შენობის კოშკზე წითელ კართან და მთავრდება რიაზანის სატელევიზიო ცენტრში. ოქტომბრის 39-ე წლისთავისათვის რიაზანელებმა უკვე ნახეს სატელევიზიო გადაცემათა პროგრამები მოსკოვიდან.

რიაზანელების შემდეგ უახლოეს ხანში ასეთსავე საჩუქარს მიიღებენ მოსკოვის ოლქის ქვანახშირის აუზის მაღაროელები: მთავრდება მოსკოვ-სტალინოგორსკის რადიორელეს ხაზის მშენებლობა. მოსკოვის ოლქის მექანახშირეები მალე ნახავენ დედაქალაქის სატელევიზიო გადაცემებს.

რადიორელეს ხაზების მშენებლობა დაკავშირებულია ურთულეს აპარატურასთან, რომლითაც უნდა აღიჭურვოს ბოლო სადგურები.

კავშირგაბმულობის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა აპარატურა ბოლო სადგურების აღჭურვისათვის. ეს უადგური გათვალისწინებულია 24 ტელეფონის არხისათვის და სატელევიზიო პროგრამის ტრანსლაციისათვის. მომდინარე წელს დამთავრდა მეორე, უფრო მძლავრი აპარატურის კონსტრუქცია 60 ტელეფონის არხისათვის. იგი შესაძლებლობას მოგვცემს რადიორელეს ხაზით ვაწარმოოთ სატელევიზიო გადაცემები დაახლოებით 1.000 კილომეტრ მანძილზე.

გრძელდება მუშაობა იმაზე, რომ ულტრამოკლე ტალღები უკეთ ემსახურებოდნენ საბჭოთა ადამიანებს. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად უკვე შექმნილია (არის ლაბორატორიული ნიმუში) აპარატურა 240 ტელეფონის არხისათვის. მას შეუძლია უზრუნველყოს ერთსა და იმავე დროს სატელევიზიო პროგრამების გადაცემა 5-6 ათას კილომეტრამდე მანძილზე.

— სად შენდება რადიორელეს ხაზები XX ყრილობის დირექტივებით დასახული 10 ათასი კილომეტრის „ანგარიშიო“?.

კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკურ სამმართველოსა და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს:

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ლენინგრადტალინ-რიგა-ვილნიუსი-მინსკის სატელევიზიო რადიორელეს ხაზის აგებისათვის. შენდება 24-არხიანი ხაზი მოსკოვი-როსტოვი იმ გაზსადენის ტრასის გასწვრივ, რომლითაც სტავროპოლის გაზი წავა დედაქალაქში. ეს ხაზი მოემსახურება სადისპეტჩერო კავშირს გაზსადენზე. დაიწყო საპროექტო სამუშაოები ბაკო-თბილისი-ერევნის რადიორელეს მაგისტრალის მშენებლობისათვის. დასახულია აგრეთვე აშენდეს დიდი ხაზი, რომელიც ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის დედაქალაქებს შეაერთებს. იგი შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო გავაფართოოთ ტელეგრაფ-ტელეფონის კავშირი ამ ქალაქებს შორის, არამედ მომავალში გაიცვალოს სატელევიზიო პროგრამები. რადიორელეს ხაზები ამ ხუთწლედში შეაერთებენ აგრეთვე ჩვენი სამშობლოს სხვა დიდ ქალაქებს.

(საკდესი).

კალინინში აშენდა ხიდი ვოლგაზე. ხიდი ქალაქის ცენტრს აკავშირებს მდინარის მარცხენა ნაპირთან. ხიდის სიგრძე 300 მეტრია და სიგანე 20 მეტრი. **სურათზე:** ახალი ხიდი ვოლგაზე ქ. კალინინში.

ფოტო ნ. ჩამოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირში მსჯავრდადებულ იაპონელ მოქალაქეთა ამნისტიის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის შეწყდა ომის მდგომარეობა და დამყარდა მშვიდობიანი ურთიერთობა, აგრეთვე, ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობის პრინციპით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. განთავისუფლდეს პატიმრობისაგან ყველა მსჯავრდადებული იაპონელი მოქალაქე.

2. პატიმრობისაგან განთავისუფლებულ ყველა იაპონელ მოქალაქეს ნება დაერთოს დაბრუნდეს სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘ.

მოსკოვი, კრემლი.
1956 წლის 13 დეკემბერი.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

როგორ გავადიდეთ ყურძნის მოსავლიანობა

გურჯაანის რაიონის სოფელ ვახისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები მდინარე ალაზნის პირას, ციგვომბორის მთის კალთებზეა გადაჭიმული. ჰავისა და ნიადაგის საუკეთესო პირობები აქ ყურძნის უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. ამიტომ არის, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. მართალია, ვენახებს მიწის საერთო ფართობის მხოლოდ 3,8 პროცენტი უკავია, მაგრამ ამ დარგიდან შემოსავალმა, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, გასულ წელს არტელის საერთო შემოსავლის 72 პროცენტი — 4.403 ათასი მანეთი შეადგინა.

ჩვენი კოლმეურნეობის ვენახების ფართობი 264 ჰექტარს აღემატება. გაშენებულია ვაზის ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიშები, როგორიც არის რქაწითელი, საფერავი და კაბერნე.

კოლმეურნეობაში წლითიწლობით ყურძნის მაღალი მოსავალი მოგვყავს. მაგალითად, თუ 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ 39,1 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, რაც მაღალ მოსავლად ითვლებოდა ჩვენს პირობებში, 1954 წელს ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 95 ცენტნერი შეადგინა. შარშან ჩვენი ვენახების დიდი ფართობი ბუნების სტიქიამ დაზიანა. ამის მიუხედავად ჰექტარზე საშუალოდ 69,2 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ. მიმდინარე წელს კი 180 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75,3 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა.

უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ ბრიგადებსა და რგოლებს.

ეს წარმატებები კოლმეურნეთა ენერგიული მუშაობის, შრომის სწორი ორგანიზაციის, აგროღონისძიებათა კომპლექსის დაცვის, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევათა დანერგვის შედეგი.

მევენახეობას ემსახურება 13 ბრიგადა, რომელთაგან თვითეულში 3-4 რგოლია. ბრიგადებზე, რგოლებსა და კოლმეურნეებზე ვენახის 5-6 წლით მიმაგრება დასამუშავებლად საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნას შესრულებული სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის სწორი აღრიცხვა. ამასთანავე არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მომუშავეს წლების მანძილზე ერთსა და იმავე ნაკვეთზე მიმაგრება საშუალებას აძლევს ყოველმხრივ შეისწავლოს ცალკეული ვაზის ზრდის პირობები, მდგომარეობა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს დიფერენცირებული აგროტექნიკა.

ჩვენ ახლო კავშირი გვაქვს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თელავის ზონალურ სადგურთან. გარდა იმისა, რომ ამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ჩვენს ვენახებში წლების მანძილზე მუშაობენ და სხვადასხვა სახის ცდებს აწარმოებენ, ჩვენც ზშირად დავდივართ მათს ნაკვეთებში — ვეცნობით სადგურის მიერ მიღებულ მედეგებს. ჩვენს ვენახებში გამოყენებულ ერთ-ერთ ახალ ღონისძიებას ვაზის გასხვლის თავისუფალი ფორმა წარმოადგენს. მის უპირატესობაში ამკარად დავრწმუნდით ინსტიტუტის მიერ ჩვენს მეურნეობაში წარმოებული ცდების შედეგად.

მ. იაშვილი

• • •

ადრე ჩვენში შემოღებული იყო ვაზის ქართული სხვლის წესი, რომელიც 10-12 კვირტის დატოვებას ითვალისწინებდა. ეს წესი ძველ ვენახებში, როცა ჰექტარზე 10-12 ათასი ვაზი ირგვებოდა და შედარებით დაბალ აგროტექნიკას იყენებდნენ, გამართლებული იყო, ახლა კი ადამიანის შრომის გაადვილებისა და მექანიზაციის ფართოდ გამოყენების მიზნით ჰექტარზე 3-4 ათას ვაზს რგავენ. ამიტომ მისი ძველი წესით გასხვლა აღარ გამოდგება, რადგან ვაზის საშუალო დატვირთვა ჰექტარზე 3-4-ჯერ ნაკლები მოდის, ვიდრე ძველი წესით დამუშავების დროს. ამიტომ თავისუფალი ფორმა, რომელიც 40-მდე კვირტს ითვალისწინებს, საკვებით მისაღები და გამართლებული ფორმაა.

ძველი ქართული ფორმის გადაკეთება თავისუფალ ფორმად ადვილად მოსახერხებელია. ამავე დროს თვით ვაზის მდგომარეობა გვიკარნახებს, თუ რა სიძლიერით უნდა გავხსლათ იგი. ამიტომ არის, რომ ეს ფორმა ჩვენს ვენახებში ფართოდ ინერგება და ხშირად შეხვდებით 2-3 შტამბიან ვაზს, რომელსაც 3-5 სანაყოფე რქა აქვს. ვაზის შეყვლვის დროს სანაყოფე რქებს ვნაწილებთ და თუ ზოგს შპალერის პირველ მავთულზე ვაკავებთ, ნაწილს მეორეზე ვამაგრებთ.

ვაზის დატვირთვის გადიდებას შეუძლია უარყოფითი შედეგიც გამოიწვიოს, თუ არ გავაძლიერებთ ყურადღებას ვენახში სასუქების შეტანისა და ნიადაგის დამუშავებისადმი. ამიტომ არის, რომ ყურძნის მოსავლის აღებისთანავე ვიწყებთ ვენახის ახალ სამუშაოებს, შეგვაქვს ნიადაგში ნაკელი და მინერალური სასუქი. ნაკელი პირველ რიგში უფრო სუსტ ნარგავებში შეგვაქვს წლის განმავლობაში 25-30 ჰექტარზე, ხოლო დანარჩენ ფართობზე შეგვაქვს მინერალური სასუქი. სასუქის შეტანის შემდეგ ვენახებს ტრაქტორის გუთნით ვხნავთ 23-25 სანტიმეტრის სიღრმეზე, სადაც მწკრივთაშუა მანძილი ამის საშუალებას იძლევა. ვიწრო რიგების ხვნას კი ცხენის გუთნით ვაწარმოებთ. მოხვნის წინ მწკრივებში ვატარებთ ვაზის ირგვლივ ბარვას 2-3 წელიწადში ერთხელ 25-30 სანტიმეტრ სიღრმეზე, ხოლო დანარჩენ დროს ვთოხნით რაც შეიძლება ღრმად. გაზაფხულზე ნიადაგს ისევ ვხნავთ. უფრო ზერელედ (ნაზურგად) 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე, ხოლო ვაზებს შორის მწკრივებს ვთოხნით. ზაფხულის განმავლობაში ხშირად ისევ გვიხდება ხვნა, ნაწილს კი კულტივაციით 3-4-ჯერ ვამუშავებთ. ასეთი დამუშავების შედეგად ვენახები მუდამ შავად ხნულ მდგომარეობაში გვაქვს და ვუნარჩუნებთ ტენს ჩვენს ურწყავ ვენახებს.

ვაზის სხვლის ახალი ფორმა განსაკუთრებულად აყენებს მწვანე ოპერაციის საკითხს, რადგან 3-5 სანაყოფე რქით დატვირთული ვაზი ძალიან იბურება, თუ ზედმეტი ყლორტი თავის დროზე არ მოვაცალეთ, ყვავილი არ განაყოფიერდება და დასცვივა. ამიტომ ყვავილობამდე ორჯერ ვფურჩქნით და ზედმეტ ყლორტებს ვაცლით როგორც შტამბზე, ისე სანაყოფე რქაზე. ამის შემდეგ ყვავილობის 1-2 დღით ადრე ვაწარმოებთ ნაყოფიან ყლორტზე წვერის წაწყვეტას, რაც აძლიერებს ყვავილის განაყოფიერებას და იძლევა კუმს — შეკრულ მტევანს. ეს ღონისძიებაც ინსტიტუტის რჩევით შემოვიღეთ.

ზაფხულში ვაზის ახალ ყლორტს 2-3-ჯერ ვახვევთ შპალერის სხვადასხვა პირ მავთულზე. ამავე დროს ვაწარმოებთ ნამხარის შეცლას. ივლისში ვატარებთ ცის გახსნას — თავის გადაჭრას. ყველა ეს მწვანე ოპერაცია, ვაზის და მტევნის განვითარებასთან ერთად, აადვილებს წამლობას მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ზოგავს შხამმსალებს.

მთელ რიგ ღონისძიებებს ვახორციელებთ მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ, რაც საშუალებას გვაძლევს დავიცვათ ყურძენი დაზიანებისაგან.

მევენახეობის შრომატევად სამუშაოთა შესრულებაში დიდ დახმარებას გვიწევს ველისციხის მტს-ი. თუ მტს-ის ტრაქტორები დღემდე მხოლოდ სავენახე ნიადაგის პლანტაჟს და ვენახის ხვნას აწარმოებდნენ, მიმდინარე წელს მექანიზატორები შაბიამნის შესხურებაშიც დაგვეხმარნენ, გოგირდის შეფრქვევას კი თვითმფრინავით ვაწარმოებთ.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას გვაძლევს არა მარტო მოსავლიანობა გავზარდოთ, არამედ ყურძნის თვითღირებულებაც შევამციროთ და ამით გავადიდოთ კოლმეურნეობის შემოსავალი.

მ. იაშვილი.

გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა მშენებლობა

რამდენიმე შენიშვნა

ამ უკანასკნელ პერიოდში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონის ასამაღლებლად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტული საკითხებისადმი მათი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად.

საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა ფოთის საქალაქო საბჭომ და მისმა აღმასკომმაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას, როგორიც არის ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატების ანგარიში. წინათ დეპუტატები ანგარიშს მხოლოდ ახალი არჩევნების წინ აბარებდნენ. ახლა პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა დეპუტატთა სისტემატური შეხვედრები ამომრჩევლებთან. საქალაქო საბჭოს აღმასკომი სისტემატურად განიხილავს შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ წამოყენებულ საყურადღებო წინადადებებს და აღწევს მათს განხორციელებას. საქალაქო საბჭოს დეპუტატების ა. დემანიასა და ბ. ბარუაძის ინიციატივითა და მოსახლეობის მხარდაჭერით დაიწყო და წლის ბოლომდე დამთავრდება სოფელ ჭალადიდის ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია.

ქალაქში არსებული ერთადერთი სასტუმრო ვერ უზრუნველყოფდა მოთხოვნილებას. ამომრჩეველებმა დეპუტატ ბ. გოგოლიშვილთან შეხვედრის დროს დააყენეს ახალი სასტუმროს მშენებლობის საკითხი. საკოლმეურნეო ბაზრის ახლოს უკვე დაიწყო და მომავალ წელს დამთავრდება ახალი სასტუმროს მშენებლობა.

საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო აგრეთვე აღმასკომის სხდომებისა და სესიების რაოდენობის შემცირებამ და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომების დღის წესრიგის განტვირთვამ ისეთი საკითხებისაგან, რომელთა მოგვარება უდადგენილებოდაც შეიძლება. ამან საშუალება მოგვცა უფრო მოფიქრებულად შევარჩიოთ სესიებისა თუ აღმასკომის სხდომების დღის წესრიგი, უფრო ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ საკითხები, მივიღოთ ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი გადაწყვეტილებანი, რაც მთავარია, ხშირად ვიყოთ ადამიანებთან.

კარგი შედეგი მოგვცა აგრეთვე აღმასკომის განყოფილებებისათვის ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტის მინდობამ. მაგალითად, წინათ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებისათვის დანიშვნის საკითხი უეჭველად საბჭოს აღმასკომს უნდა განეხილა, უამისოდ დახმარების გაცემა არ შეიძლებოდა. ახლა ამ საქმეს წარმატებით უძღვება აღმასკომის სოციუზრუნველყოფის განყოფილებასთან შექმნილი სპეციალური კომისია და აღმასკომის სხდომის დღის წესრიგიც საგრძნობლად განტვირთულია.

ვფიქრობ, ასევე შეიძლება აღმასკომის სხდომის დღის წესრიგის განტვირთვა ზოგიერთი სხვა საკითხისაგან. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის მიწის გამოყოფისა და ახალი სახლის მშენებლობისათვის ნებართვის მიცემის საკითხი. ფაქტიურად ამ საკითხს წყვეტს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება, რომელსაც მოქალაქენი უდგიხენ ყველა საჭირო საბუთს. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ განყოფილებას მინდობოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება? ავიღოთ თუნდაც სხვადასხვა ობიექტებისა და საწარმო-დაწესებულებათა შენობების მშენებლობის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების საკითხი. ამ ხარჯთაღრიცხვებს ადგენენ აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან არსებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს ინჟინრები, დამტკიცებული ნორმებისა და გაანგარიშების საფუძველზე და განიხილავს აღმასკომთან შექმნილი ტექნიკური საბჭო. ამის შემდეგ მას საბჭოს აღმასკომი ამტკიცებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ აღმასკომს რომელიმე ხარჯთაღრიცხვა შეეცვალოს ან შეესწორებინოს. ჩემი აზრით, საქმისათვის უმჯობესი იქნება ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოო იყოს.

მეორე მხრივ არის წყება საკითხებისა, რომლებსაც დღემდე მხოლოდ ზემდგომი ორგანოები წყვიტენ და რომელთა მოგვარება ადგილად შეიძლება ადგილებზე. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, დროებით მძიმე ეკონომიური მდგომარეობის მქონე მოქალაქეებისათვის სახელმწიფო სესხის დავალიანებათა გადავადებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისაგან ზოგიერთი კოლმეურნის განთავისუფლების საკითხები. ზემდგომი ორგანოები ამ საკითხებს წყვეტენ მხოლოდ ადგილებიდან წარდგენილი მასალების და აღმასკომების შუამდგომლობის საფუძველზე. ნუთუ არ შეიძლებოდა ეს საკითხები ადგილზევე გადაწყვეტილიყო? ეს საგრძნობლად შეამცირებდა მიმოწერას და გაზრდიდა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობასა და ავტორიტეტს.

დ. ჯალალანია,

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი.

სარჩხერის რაიონში ერთვნული [illegible]

ახალი ათასეული [illegible]

მტს-ის სმაენანი პარკი დღითიდღე ივსება ახალი მანქანა-იარაღებით. უკანასკნელ ხანებში აქ მოდებულია „სსტზ-7“ და „დტ-54“ მარკის ტრაქტორები, ორი ავტომანქანა, უნივერსალური და სპალანტაჟე გუთნები.

აგურ-კრამიტის ქარხანა

სოფელ კორბოულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა აგურ-კრამიტის ქარხნის მშენებლობა. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 80 ათას ცალ კრამიტს და 20 ათას ცალ აგურს.

დაგის კეთილმოწყობა

დღითიდღე კეთილმოწყობილი ხდება დაბა სარჩხერე. დამთავრდა კალინინის, მალენკოვის, კომკავშირის და მარქსის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, დაგებულია ქვაფენილი. მდინარე ყვირილაზე არსებულ ხიდთან სანაპირო ქუჩის გაფართოების მიზნით ამოყვანილ იქნა რკინაბეტონის საყრდენი კედელი. მოკლე დროში დამთავრდება მარქსისა და სტალინის ქუჩების შემაერთებელი ჩიხების კეთილმოწყობა.

სახერხი ქარხანა

სოფელ ბაჯითის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ქარხნის მოწყობის საქმეში კოლმეურნეობას დიდი დახმარება გაუწიეს „ჰიათურმშენმა“ და დიმიტროვის სახელობის მადაროთა სამმართველომ.

რადიო და ტელეფონი ფერმაში

სოფელ ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ ფერმის მუშაკთა კულტმომსახურების მიზნით მეცხოველეობის ფერმაში გაიყვანა რადიო და ტელეფონის ხაზი.

დახმარება მრავალშვილიან დედებს

მიმდინარე წელს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე სახელმწიფო დახმარების სახით გაცემულია 750 ათას მანეთზე მეტი. მრავალშვილიან დედას მ. გიორგაძეს მიღებული აქვს 89.400 მანეთი, თ. არჩვაძეს—41.400, ხ. სეფიაშვილს — 49.050 მანეთი და ა. შ.

ჯ. ასანიძე.

მახარაძის აბრეშუმის ქვეოსტატი ე. ჩანტლაძე (მარცხნივ) ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის ძაფსაღებ ხაამქროში. წინა პლანზე— (მარცხნივ) თავის გამოცდილებას უზიარებს მუშა ზ. ტრაპაიძეს.

ფოტო შ. გოქაძისა.

გ. ვ. პლეხანოვი და ქართული საზოგადოებრიობა

რუსეთის პირველი მარქსისტი-თეორეტიკოსისა და შგზნებარე პროპაგანდისტის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი ვალენტინის-ძე პლეხანოვისა და ქართული საზოგადოებრიობის ურთიერთობას ხანგრძლივი და შესანიშნავი ისტორია აქვს.

ჩვენი სტატიის მიზანია გააშუქოს ამ ურთიერთობის ძირითადი მომენტები.

• • •

გ. პლეხანოვისა და მის მიერ შექმნილი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სახელთან მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოში მარქსიზმის გავრცელება და პირველი მარქსისტული ორგანიზაციების გაჩენა. უდავოდ უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოს პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია — „მესამე დასი“ პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გავლენის შედეგად წარმოიშვა და იგი დიდხანს, სანამ მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთება მოხდებოდა, ზოგიერთი თავისებურებით „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მაგვარი ორგანიზაცია იყო.

ქართველი მოწინავე, რევოლუციური ახალგაზრდობა მარქსიზმს სწავლობდა როგორც პლეხანოვისა და მისი ამხანაგების მიერ თარგმნილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებით, ისე თვით პლეხანოვის მარქსისტული ნაწარმოებებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების მთელ ლენინამდელ პერიოდში ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობის მარქსისტული განათლების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა გ. პლეხანოვის ბრწყინვალე მარქსისტულმა ნაშრომებმა.

გ. პლეხანოვის ნაშრომების გავრცელება საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება, ხოლო 90-იანი წლებიდან იგი ფართო ხასიათს იღებს.

80-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე შემოტანილია გ. პლეხანოვის ერთ-ერთი უადრესი ნაშრომი „კარლ როტბერტუს-იაგოცევის ეკონომიური თეორია“, რომელიც 1882-1883 წლებში ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ გამოქვეყნდა. ცოტა უფრო გვიან ცნობილი ხდება პლეხანოვის პირველი მარქსისტული ნაშრომი „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რუსული სოციალიზმის რწმენის პირველი სიმბოლო“ უწოდა. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული პლეხანოვის ნაშრომები „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური თვალსაზრისის განვითარების საკითხისათვის“, რომელზეც, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, აღიზარდა რუსი მარქსისტების მთელი თაობა. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული პლეხანოვის მთელი რიგი სხვა ნაშრომები: „ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ“, „ისტორიაში პიროვნების როლის საკითხისათვის“, „ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი“ და სხვ. საქართველოში ვრცელდებოდა აგრეთვე „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ გამოცემული კრებული „რაბოტნიკ“, რომელშიც სისტემატურად იბეჭდებოდა პლეხანოვის სტატიები.

გ. პლეხანოვის დიდი თეორიული და პრაქტიკული რევოლუციური მუშაობის შესახებ ცნობებს იძლეოდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ და რუს რევოლუციონერთა მიერ თბილისში გამოგზავნილი პირადი წერილები. ეანდარმერიის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთიდან თბილისში მიღებულ წერილში „მოხსენებულია რუსეთის მარქსი“ და იქვე გაშიფრულია, რომ ეს გ. პლეხანოვია. მეორე დოკუმენტში ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატთა ერთი ჯგუფის გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა წერილები ჟენევიდან, რომლებშიც მოყვანილია „ცნობები რუსი ემიგრანტების პლეხანოვისა და სხვათა შესახებ“.[1]

გ. პლეხანოვის შრომებზე იზრდებოდა საქართველოს მარქსისტთა პირველი თაობა — ისეთი გამოჩენილი რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია, ე. ნინოშვილი, ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე და სხვები. მ. ცხაკაია, ეხება რა თავის პროპაგანდისტულ მუშაობას 1885-1886 წლებში, აღნიშნავს: „წავიკითხე მაშინ ახლად გამოქვეყნებული ვალენტინოვის (პლეხანოვის) სტატია კარლ ფონ იაგოცევ როტბერტუსის შესახებ, საერთოდ მარქსისტული ხასიათისა ჟურნალ „ოტეჩესტვენიე ზაპისკიში“.[2] ფ. მახარაძე თავის სტატიაში „როგორ გავხდი მარქსისტი“ ამბობს: „მახსოვს ერთი შემთხვევა. არ ვიცი, 1888 თუ 1890 წწ. ხელში ჩამივარდა პლეხანოვის ბროშურა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, პირველი მარქსისტული ბროშურა, რომელიც დაწერილი იყო რუსული მარქსიზმის საფუძვლის ჩამყრელის მიერ“.[3] ეს ნაშრომი ფ. მახარაძეს, როგორც თვითონ შენიშნავს, ცოტა უფრო გვიან შეუსწავლია.

1892-1893 წლებში, „მესამე დასის“ შექმნის პერიოდში, პლეხანოვის შრომებს უკვე ბევრი ახალგაზრდა რევოლუციონერი იცნობდა. ამ დროს თბილისში, მ. ცხაკაიას ბინაზე თავს იყრიდნენ მარქსისტულად განწყობილი ახალგაზრდები. მიხას ბინაში ცხოვრობდა ამ დროს ე. ნინოშვილი, რომელიც ხშირად მართავდა საუბარს პლეხანოვის შრომებზე და კარგ ცოდნას ამჟღავნებდა. მ. ცხაკაია დასახელებულ მოგონებაში წერს: „ნინოშვილი და რამდენიმე სხვა ამხანაგი სხვადასხვა ადგილებიდან უკვე გაცნობილი იყვნენ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას“. გამოჩენილი მარქსისტი ა. წულუკიძე გატაცებით სწავლობდა პლეხანოვის შრომებს. მ. ტოროშელიძე თავის სტატიაში „ა. წულუკიძე, როგორც მოაზრე“ პირდაპირ მიუთითებს, რომ წულუკიძის როგორც მარქსისტის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა გ. პლეხანოვის შრომებმა. ვანო კეცხოველი ერთ-ერთ მოგონებაში დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ იკრიბებოდნენ ლადო კეცხოველის ბინაზე მისი ამხანაგები და გვიან ღამემდე ბაასობდნენ პლეხანოვის მოღვაწეობის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არა მარტო რევოლუციური ახალგაზრდობა, არამედ საერთოდ საქართველოს მოწინავე, პროგრესული ინტელიგენცია ხარბად დაეწაფა გ. პლეხანოვის შრომებს. საკმარისია ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძეს გულდასმით შეუსწავლია პლეხანოვის ნაშრომი „ისტორიაზე მონისტური თვალსაზრისის განვითარების საკითხისათვის“ და თავისთვის საჭირო ამონაწერები და შენიშვნები გაუკეთებია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. პლეხანოვს პირადად იცნობდა, მასთან ახლო ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ბევრ ქართველ საზოგადო და პარტიულ მოღვაწეს.

პირველმა ქართულმა ლენინურ-ისკრულმა გაზეთმა „ბრძოლამ“ 1901 წლის დეკემბრის ნომერში ვრცელი ცნობა მოათავსა გ. პლეხანოვის მოღვაწეობის შესახებ, დაახასიათა მისი როლი მარქსიზმის პროპაგანდისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაში და მიუთითა, რომ „ბევრს ნახავთ მის მიმდევრებს და მისგან განვითარებულთ ქართველებში“-ო.

* * *

გ. პლეხანოვის შრომების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა გასული საუკუნის დამლევიდან დაიწყო.

1899 წელს ჟურნალ „მოამბის“ 9 და 10 ნომრებში მთლიანად დაიბეჭდა გ. პლეხანოვის შესანიშნავი ნაშრომი „რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას, ანუ ადამიანის მოქმედებას“. ჯერჯერობით ეს უნდა ჩაითვალოს გ. პლეხანოვის ნაშრომების პირველ ქართულ თარგმანად.

ამ ნაშრომის ქართულ ენაზე გამოქვეყნება დაემთხვა საქართველოში მუშათა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის გაშლას. სწორედ ამ დროს საჭირო იყო ფართოდ გავრცელებულიყო მარქსისტული შეხედულება ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის შესახებ, რაც ასე ბრწყინვალედ არის გადმოცემული და დასაბუთებული გ. პლეხანოვის დასახელებულ ნაშრომში.

ქართულ ენაზე გამოქვეყნებული გ. პლეხანოვის მეორე ნაშრომია მის მიერ 1901 წელს დაწერილი სტატია „როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ქვალის“ 26, 27 და 28 ნომრებში. ეს სტატია განსაკუთრებით საინტერესო იყო და არის ქართველი მკითხველებისათვის, რადგანაც აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ პლეხანოვის სტატიის ქართულ ენაზე გამოქვეყნების ფაქტთან. საქმე ის არის, რომ ეს სტატია გ. პლეხანოვმა სპეციალურად დაწერა „ქვალის“ რედაქციისათვის, ამ უკანასკნელის შეკვეთით, ქართველი ანარქისტების მეთაურის ვ. ჩერქეზიშვილის წინააღმდეგ.

ვ. ჩერქეზიშვილმა 1900 წელს მარველის ფსევდონიმით „ივერიის“ ფურცლებზე მოათავსა წერილების სერია — „მოგზაურობა ბელგიაში“, რომელშიც ცილისმწამებლური და ყოვლად უვიცი კრიტიკით გაილაშქრა მარქსისა და ენგელსის წინააღმდეგ და მარქსისტულ დიალექტიკას სოფისტიკა უწოდა.

გ. პლეხანოვმა „ქვალის“ ფურცლებზე გააქარწყლა ჩერქეზიშვილის უხამსი კრიტიკა და ნათლად დაასაბუთა, რომ მას არაფერი გაეგება მარქსისტულ ფილოსოფიაში, რომ მან არ იცის არც ჰეგელის, არც ფეიერბახის ფილოსოფია და სრულიად ვერ გაუგია მარქსის დიალექტიკა.

პლეხანოვმა თავის სტატიაში დაამტკიცა, რომ ჩერქეზიშვილი არ იცნობს „არც მეტაფიზიკას და არც დიალექტიკას. ის მითაც კმაყოფილია, რომ ხმაურობს იმ სიტყვების ხმარების გამო, რომელთა შინაარსი მისთვის გაუგებარი რჩება“. ცხადია, აქ შეუძლებელია პლეხანოვის სტატიის შინაარსის გადმოცემა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მან დიდი როლი შეასრულა ქართველი ანარქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მარქსისტული დიალექტიკის განმარტებისა და გაგების საქმეში.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ პლეხანოვი დაქანდა მენშევიზმის გზაზე და ბრძოლა დაიწყო ლენინისა და ლენინელების წინააღმდეგ. მან დაიწყო ვ. ი. ლენინის შრომის „რა ვაკეთოთ?“ კრიტიკა. პლეხანოვის ამ საქციელმა ქართველ ბოლშევიკთა შორის კანონიერი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია. ი. სტალინმა თავის „წერილებში ქუთაისიდან“ სასტიკად გააკრიტიკა და გაკიცხა პლეხანოვი.

1906 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა გ. პლეხანოვის ორი ბროშურა: „პატრიოტიზმი და სოციალიზმი“ და „რევოლუციური ავანტიურიზმი“. პირველი ბროშურა, რომელიც თარგმნა ცნობილმა ბოლშევიკმა მიშა დავითაშვილმა, დაიბეჭდა თბილისში. ბროშურაში გაცემულია პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა გავიგოთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ სიტყვები — „მუშებს არა აქვთ სამშობლო“, ამასთან ახსნილია, თუ როგორი უნდა იყოს ომისაღმი სოციალისტების დამოკიდებულება. ამ კითხვებმა დიდი აურზაური გამოიწვია მაშინ მთელ საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში. ცხადია, ამ კითხვით დაინტერესდნენ საქართველოშიც და

[1] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ. საქართველოს ფილიალის არქივი.

[2] მიხა ცხაკაია, „ველიკოე დესიატილეტიე ველიკოგო ოქტიაბრია“, 1927 წ. გვ. 19.

[3] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 25.

თბილისის ავეჯის კომბინატში

წლითიწლობით იზრდება ჩვენს ქვეყანაში მოთხოვნილება კარგ ტანსაცმელზე, ლამაზ ფეხსაცმელზე, კარგად და ლამაზად გაკეთებულ ავეჯზე. ყველასათვის ცნობილია, რა ხანგრძლივი შეაქვთ ახალი ავეჯი სახლში, სადაც ოჯახში დიდი „კამათის“ შემდეგ გარკვეულ ადგილს მიუჩენენ მას. გასაგებია, რა მნიშვნელობა აქვს ავეჯის დიდი რაოდენობით გამოშვებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

თბილისში უკანასკნელ დრამდე იყო მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც ავეჯს ამზადებდნენ. მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. რამდენიმე წლის წინათ ნავთლუღში დაიწყო ავეჯის კომბინატის მშენებლობა.

აი უკვე ორი წელია, რაც ეს კომბინატი პროდუქციას უშვებს, თუმცა მისი მშენებლობა მთლიანად ჯერაც არ დამთავრებულა. ეს ავეჯის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში. იგი აღჭურვილია პირველხარისხოვანი ტექნიკით, უახლესი მანქანებითა და მოწყობილობით. საწარმოში ყველა პროცესი, მერქნის დამუშავებით დაწყებული და — სერიოზული ლონისძიებანი განეხორციელებინა ამ მძიმე მდგომარეობიდან სწორმოს გამოსაყვანად. პირველ რიგში კომბინატში შემოვიღეთ ორ ცვლად მუშაობა. თუ წინათ კომბინატი დაბალი ხარისხის საწოლებსა და სეკრეტერებს უშვებდა, იქნებიდან მუშაობაში სერიოზული გარდატეხა მოხდა. ჩვენ დავიწყეთ უმაღლესი კლასის გარდერობების, პირველი კლასის საწერი მაგიდებისა და კომბინირებული დივან-საწოლების გამოშვება, რომლებზეც მოთხოვნილება დიდია. განსაკუთრებული ყურადღება მივაქცეთ ავეჯის დამუშავებას, ამისათვის გავმართეთ სამდოლიანი ხახვი, დავნერგეთ ახალი ტექნოლოგია, ავითვისეთ საწერი მაგიდების პულვერიზაცია, გავაძლიერეთ ოსტატების პასუხისმგებლობა.

იანვარში დავალება 113,4 პროცენტით გავანადღეთ. მას შემდეგ გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ვასრულებთ. კომბინატის კოლექტივმა განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია ოქტომბერსა და ნოემბერში. ტემპების გაძლიერებით და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით წლის მეორე ნახევრის ხუთი თვის განმავლობაში საწარმომ გეგმა 113,5 პროცენტით შეასრულა. იმ პროდუქციის ანგარიშში, რაც წლის პირველ ნახევარში გეგმის შესრულებას დააკლდა, გამოვუშვით 750 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ორმა საამქრომ კი — საშრობ-სახერხმა და სადურგლო ფილების დამამზადებელმა საამქროებმა წლიური პროგრამა გასულ თვეში შეასრულეს.

ალიზარდნენ სპეციალისტების ახალი კადრები — დურგლები ხ. ქუმარატაშვილი, მ. ნეხოროშევი, ი. ჩიტაიშვილი, ს. ხაჩატუროვი, მეფანერე ნ. ივანოვი, მხეხავი ა. ასლამაზაშვილი, ამწყობი ნ. სიტნიკოვი და სხვ. ბევრ საამქროს სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა სპეციალისტები — ინჟინრები, რომლებმაც ამას წინათ დაამთავრეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი: შ. ჯაოშვილი, გ. გიორგობიანი, ი. ჩიჩუა, პ. დუნდუა. საამქროს უფროსი პ. დუნდუა ამავე დროს კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანია.

კომბინატს დიდი საწარმოო პერსპექტივა აქვს. 1957 წლიდან დაიწყება ახალი პროდუქციის გამოშვება. აქ დაამზადებენ კომბინირებულ კარადა-ბუფეტებს, კარადა-კამოდ-სეკრეტერებს და ორკარიან კარადა-გარდერობებს. განზრახულია აგრეთვე საწოლი ოთახის გარნიტურის გამოშვება.

რა სიახლე დაინერგება წარმოებაში ახლო მომავალში? ჩვენ გვაცნობეს, რომ შერლაკის პოლიტურა, რაც ძვირი ღირს, შეცვლილ იქნება ნიტრო-ლაქის გამქვირვალე მოპირკეთებით. ეს ბევრად გააუმჯობესებს ავეჯის გარეგნობას, გააიაფებს მოპირკეთებას და მოგვცემს ძვირადღირებული სპირტის დიდ ეკონომიას. ასე გაპრიალებული ავეჯის გამოსაშვებად კომბინატმა უნდა მიიღოს სპეციალური აგრეგატები.

კომბინატში უკვე შეუდგნენ ახალი წნეხის მონტაჟს. ამ წნეხის მეშვეობით 4 საათიდან დრო, რომელიც სჭირდება მოსაპირკეთებელი ფანერის დაწებებას სადურგლო ფილებზე, 30 წუთამდე შემცირდება. დეფიციტური ძვლისა და ტყავის წებოს ნაცვლად წარმოებაში დაინერგება სპეციალური სინთეზური წებო, რომელიც ბევრად უფრო იაფი და მაღალხარისხოვანია.

— ჩვენ ვალდებული ვართ, — ამბობს დასასრულ დირექტორი, — მივცეთ და კიდევაც მივცემთ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კარგად გაკეთებულ ლამაზ ავეჯს.

ვლ. ბინზბურგი.

მზა ავეჯის გამოშვებით დამთავრებული, ძირითადად მექანიზებულია. კომბინატის პროდუქცია ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მოსაპირკეთებელი ფანერი, რომელსაც კომბინატი ამზადებს, იგზავნება მოსკოვის, რიგის, ხარკოვის და სხვა ქალაქების ავეჯის ფაბრიკებში, ხოლო წიფლის დაბერხილ მასალას კომბინატი უგზავნის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს ქარხანას — „როსტსელმაშს“.

...ჩვენ ვეცნობით ამ დიდი საწარმოს მუშაობას. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლების მიხედვით კომბინატი რესპუბლიკის ერთ-ერთ ჩამორჩენილ საწარმოდ ითვლებოდა. მომდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში მან სახელმწიფოს ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. ცუდად იყო საქმე პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის მხრივაც. სავაჭრო ორგანიზაციები ზშირად უარს ამბობდნენ ამ საწარმოს ავეჯის მიღებაზე, ცუდი მუშაობის მიზეზი იყო შრომის არასწორი ორგანიზაცია, ახალი ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოების ტექნიკის ათვისებისათვის არასაკმაო ზრუნვა. სუსტად ინერგებოდა პროდუქციის ახალი სახეები, ირღვეოდა ავეჯის ასაწყობი დეტალების მიწოდების ვადები.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა, რომ ასე მუშაობა აღარ შეიძლებოდა.

— საჭირო გახდა კომბინატის ხელმძღვანელობას, — გვიამბობს დირექტორი ამხ. მ. ლასურაშვილი, — ...



გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს ნოტა დასავლეთ გერმანიიდან საბჭოთა კავშირში საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ

ბონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, ა. წ. 25 სექტემბერსა და 9 ოქტომბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პასუხი გასცა სსრ კავშირის საელჩოს ბონში მის ნოტებზე იმ ადგილგადანაცვლებული საბჭოთა მოქალაქეების სამშობლოში რეპატრიაციის შესახებ, რომლებიც ძალით გარეკეს გერმანიაში ჰიტლერელთა ჯარებმა მეორე მსოფლიო ომის დროს და რომლებიც ჯერ კიდევ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან.

თავის პასუხში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მზად არის მოძებნოს საბჭოთა ადგილგადანაცვლებული შრომალაქენი, რომელთა სიები სამინისტროს გაეგზავნა საელჩოს ა. წ. 20 სექტემბრის ნოტასთან ერთად. ამავე დროს სამინისტროს პასუხი შეიცავს მტკიცებას, რომ ხსენებული საბჭოთა მოქალაქეები თითქოს არიან „პოლიტიკური ლტოლვილები“ და „ადგილგადანაცვლების სრული თავისუფლებით“ სარგებლობენ.

12 დეკემბერს ბონში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი — დესპანი ს. მ. კუდრიავცევი ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს და გადასცა საბჭოთა საელჩოს ახალი ნოტა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის საკითხზე.

ნოტის ტექსტში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო აღასტურებს თავის პატივისცემას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი და მისი 1956 წლის 25 სექტემბრისა და 9 ოქტომბრის ნოტების პასუხად, რომლებიც შეეხება ადგილგადანაცვლებული საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციას სამშობლოში, პატივი აქვს გაცნობოთ შემდეგი.

